

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР



კავკასიონის მართვებო, ვერ გაშინებლათ პამირი,
მოსკოვის პიკსაც უწიეთ, იქაც გასტეხეთ ყამირი.
იხე ჯიქურად უტევილით თეთრ მთას შავტუნა ბიჭები,
თითქოს მწვერვალზე კი არა, მინდორზე მიაბიჯებლით.

ხუმრობა საქმე როდია პამირზე თქვენი სტუმრობა,
ნიანგმაც სწორედ ამიტომ ვერ შემოგაკდრათ ხუმრობა!
თქვენს ვაუკაცობას ბარაქა, გქონიათ ფხა და მარილი,
მოსკოვის პიკზეც დააგზნეთ კრემლის ვარსკვლავის არილი!

რეპრესია

(მგზავრის შენიშვნები)

რაჭიდან თბილისისკენ მიმავალ მგზავრს, როგორც ცნობილია, ქუთაისი გზად და ხიდად უდევს.

მიუახლოვდა თუ არა ჩვენი მანქანა ქუთაისს, მაშინვე გავიფიქრე, აბანოში შემეველო. მოგეხსენებათ, ნამგზავრი კაცისათვის ეს ურიგო პროცედურა არაა. ჩემოდანი ერთ ჩემს ნაცნობთან დავტოვე და № 2 აბანოს მივაშურე. კარებთან მეტად საგულისხმომ აბრა დამხვდა:

„უდენობის გამო, აბანო იმუშავებს
სალამოს 5 საათიდან“

ჯანდაბას, რა გაეწყობა, 5 საათამდე ქალაქში გავივლი, ვთქვი და კურსი წერეთლის ქუჩისაკენ ავიღე. ის იყო ლიტოპონის ქარხანის მივუახლოვდი, რომ ვილაყ მოქალაქის განწირული ხმა შემომესმა:

— არიქა, ხანძარი, ხანძარი! სახლი მეწვის, მიშველეთ!..

მართლაც და მშვენიერ ორსართულიან სახლს ცეცხლი მოდებოდა და შთანთქვით ემუქრებოდა. სად იყო, სად არა, შენობასთან სახანძრო რაზმის მანქანა გამოჩნდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, რა უცბად მოვიდნენ!— ჩაილაპარაკა ვილაყამ.

მეხანძრეები წყალსადენის ონკანებს ეცნენ, მაგრამ მაშინვე დაწყნარდნენ და მშვიდად დაუწყეს ცქერა, თუ როგორ იწვოდა სახლი.

— კაცო, რას შვრებიო.— აყვირდა სახლის პატრონი, — სიერის საყურებლად მოხვედით?!

— ეჰ, ბიძია, წყალი არაა და ამხელა ხანძარს სულის შეებრვით მე კი არა. ჩვენი უფროსი დევედარიანიც ვერ ჩააქრობს.

ცოტა ხნის შემდეგ კიროვის ქუჩაზე მოვხვდი. ზედ ტროლეიბუსის გაჩერებასთან აშორებული წყალი იდგა.


— ამ სიციხეში აქ წყალი რამ დააყენა?— ვკითხე ერთ მოქალაქეს.

— პირველად ხედავ, ალბათ! მთელი ზაფხულია ჭაობი დგას, ამბობენ წყალსადენის მილი გასკდაო.

— კაცო, ქალაქი უწყლობით იტანჯება და აქ ასე რად ღვრიან?— ?!

კამერული მუსიკის კონცერტი

ნ.ბ. თ. ჯინჭარაძისა



სწორედ რომ დროზე მივაშურე აბანოს. სალაროსთან უკვე შეკრებილიყო ხალხი.

— უკვე ხუთი საათია, რას უცდით?— გაიძახოდნენ ერთნი, — ერთი კვირა დღე გვაქვს და გეტანჯავთ, — უმატებდნენ მეორენი.

— ამდენი მოგიტმენიათ და ცოტა კიდევ მოითმინეთ, — გამოაცხადა ვილაყ მაღალმა და ჩასკვნილმა კაცმა (როგორც შემდეგ შევიტყვე, გაჩემე სერაფიონ კოვზიანიძემ).

ცოტაც ვითმინეთ, ბევრიც ვითმინეთ და ბოლოს როგორც იქნა დენიც მოვიდა.

— ახლა მაინც გაყიდეთ ბილეთი, დენიც არის და წყალიც, — მიცვივდით მოლარეს.

— დენი კი არის, მაგრამ გამგე არაა, უმისოდ უფლება არა მაქვს.

აქეთ ვეცით, იქით ვეცით და, ბოლოს, როგორც იქნა, გამგეც ვიპოვეთ.

— ნომრები გაყიდე!— გასცა ბრძანება სერაფიონმა.

უიღბლობამ აქაც მიწია, ბილეთი ზედ ჩემს ცხვირწინ გათავდა.

— ქალბატონო, საერთო მაინც მომეცით. — მივმართე მოლარეს.

— მომითმინეთ, ჯერ გამგე მეტყვის. სერაფიონ, საერთო გაეყიდო?

— კაცების კი, ქალებისა არა, — უბასუხა ქალთმომძულე სერაფიონმა, მცირე დაფიქრების შემდეგ.

— რაშია საქმე, ჩვენ რას გვერჩით?— აყვირდნენ ქალები.

— ამდენი მოგიტმენიათ და ცოტა კიდევ მოითმინეთ, ჩვენს თანამშრომელ ქალს ქალების საერთო გასაღები სახლში დარჩენია და ახლავე მოიტანს, — განაცხადა გამგემ.

როგორც იქნა, აბანოში ვტკუცე თავი, დაფეთებულმა სწრაფად ვიბანავე. მე კი ვიბანავე, მაგრამ წყალი ისეთ დროს გათავდა, რომ ნახევარი ხალხი გასაპნული დარჩა.

— სერაფიონ, წყალი!— აყვირდნენ გასაპნულები.

— წყალსადენი არ იძლევა და მე სახლიდან ხომ არ მოგიტანთ?!— განაცხადა გამგემ.

სალამოს ქუთაისის ახალ თეატრში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლს «გორდას» დავესწარი. მესამე მოქმედება გათავდა და დენიც გათავდა.

დიდხანს ვიცადეთ, დიდხანს ველოდეთ, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი! ბოლოს, როგორც იქნა გამოაცხადეს — უდენობის გამო მეოთხე მოქმედება აღარ შედგებაო.

ნეტავ როდის შედგება ისეთი მეოთხე მოქმედება, სადაც მთავარი მოქმედი პირები თეატრის მსახიობები კი არა, ქუთაისის ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები იქნებიან.

გ. მემკარიაშვილი,

ნაგრვილი მიზეზი

უკვე მესამე წელია, რაც სოფ. მერჯევში (საჩხერის რ-ნი) მდ. ყვირილაზე ენგელსის სახ. კოლმეურნეობამ ელექტროსადგური ააშენა. ქვემო მერჯევს კარგა ხანია დენი აქვს, ხოლო ზემო მერჯევს დღემდე ჩაბნელებულია. შრომადღეებს კი ერთნაირად უჭეითავენ როგორც ზემო, ისე ქვემო მერჯევის კოლმეურნეებს.

თუ საჩხერეში ჩახვედი, გახდი მერჯევის სტუმარი, იმერულ სუფრას გაშლიან, შემოგაყრიან პურ-მარილს.

ეტყვი:— ვინც თქვენზე ცუდი თქვას, მისი ოჯახი დაიქცა; მადლობას გადაუხდი და ერთში დაძრახე მაინცა:

ქვემო მერჯევში დენია, ბრწყინავს ნათურა ილიჩის, ზემოთ, კვლავ მამაპაპურად, რას არ ანთებენ ვინ იცის.

...ხან მავთულს ინიზეზებენ, ხან მიზეზია ბოძები... ჩვენ თვითონ ვნახეთ მიზეზი და სხვაგან რალად მოძებნით.

იმ სოფლის ხელმძღვანელები ქვემოთ ცხოვრობენ ყველანი, თვითონ ვნახეთ დენი, გაბრწყინდნენ, შუქში არიან ყელამდის.

შორს გზამდე აღწევს სინათლე. საწყობის გამგის ბაკიდან, და თავმჯდომარემ ნათურა სალორეშიაც დაკიდა.

ნოდარ ზამანაძე

ჩვიანი № 949599

გამოვიჩეკეთ, შევიბუმბლეთ, ალვიზარდეთ, დავსუქდით და დავყვინჩილდით სუფსაში, კეთილი მოხუცის ნინუცი აბშილავას მზრუნველობით. მოხუცის ეზოში უხვად მოხნეული სიმინდის კენკვასა და ერთმანეთის კურკურში შეუმჩნევლად ჩაიქროლა დრომ. 25 აგვისტოს კი, დილით, ჩვენმა მზრუნველმა გამოგვიცხადა: „აბა, ჩემო ყვინჩილებო, თქვენ უნდა გაახაროთ ჩემი ბაღიშები—თენიური და ზაირა“.

გაგონილი გვქონდა, რომ ჩვენს მოხუცს კარგი შვილი-შვილები ჰყავდა თბილისში, ამიტომ ჩვენც გულმოდგინედ დავსუფთავდით, შევიბერტყეთ ფრთები, გავიწმინდეთ ნისკარტები. ერთი სიტყვით, წესრიგში მოვიყვანეთ ჩვენი გარეგნობა, რომ კარგებთან კარგები გამოჩენილიყავით. იმავე დღეს, საღამოს, ჩავგვსხეს გალიაში და სუფსიდან თბილისში გასაგზავნად საბარგო ვაგონში მოგვათავსეს, ჩვენს მოხუცს კი ხელზე მისცეს საბარგო ქვითარი № 949599.

მატარებელი დაიძრა... ჩვენ ყველამ ერთაბად ძილს მივეციით თავი. ის იყო გათენდა 26 აგვისტოა ნანატრი დილა, რომ მოულოდნელად გაგვადვიძეს, დასტაცეს ხელი ჩვენს გალიას, გადმოიღეს ვაგონიდან და საწყობში შეაგდეს. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მხოლოდ სადგურის აბრა წაევიკითხეთ. ხაშურში გადმოგვსხეს.

ჩვენი მატარებლის წასვლის შემდეგ ვილაცა მოვიდა, დავგხედა. რატომღაც არ მოეწონა ჩვენი გარეგნობა, თუ ჩვენი ჯანმრთელობა, ალბათ იმიტომ, რომ შინსაგან ფერწასულები ვიყავით, და თავის ხელქვეითებს უთხრა: „ესენი ბაკურიანში გააგზავნეთ, სუფთა ჰაერზე“.

დავლონდით, დაუშვით ფრთები, მოვიწყინეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, მშვიდად გაიხურეს კარები და წავიდნენ. იმავე დღის სამ საათზე ჩვენი ბაკურიანში გასეირნება გადაიფიქრეს და ახლა ბათუმში დაგვიპირეს გაგზავნა. (ალბათ გულსუსტებად მიგვიჩინეს და ზღვა გამოგვიწერეს). ამ თავზარდამცენი ამბისაგან ენა ჩავვივარდა. ცალკე შიმში-

ლი და წყურვილი გვაწუხებდა და ცალკე უბედური მომავალი. მერე გამოგვიყვანეს ბაქანზე და ნიკარტებით დასავლეთისკენ მიგვაბრუნეს, თბილისისკენ გამოხედვაც კი აგვიკრძალეს. გული აუჩუყდა საწყობის გამგეს, მოგვიახლოვდა, ამოიღო საბარგო ქვითარი № 949599 და განაცხადა, რომ ჩვენი Место назначения არის ბათუმი; ასე წერია ქვითარშიო.

ძალა აღმართსა ხნავს, ჩვენც შევეურიგდით ჩვენს ბედს... პირი დასავლეთისაკენ გვიქნეს, მაგრამ ჩვენი მოხუცის მეცადინეობით 27 აგვისტოს თბილისში ამოვყავით თავი.

მთლად უმტკინეულოდ არ ჩაუვლია რკინიგზელების ოხუნჯობას. სუფსაში ჩვენმა 78 წლის მოხუცმა გალიაში თავისი ხელით 14 ფრთა ჩავგვსხა, თბილისის სადგურზე კი მხოლოდ 10-ლა აღმოვჩნდით. 4 მეგობარი — ჩვენს შორის რჩეულები, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჩანს ჩვენი დაუძინებელი მტრები—მელიები, აქა-იქ რკინიგზაშიც დაძრწიან.

აჩრ. ლავითიანი

სამსახურში...

ნახ. გ. ფირცხალავაში



და სახლში



გ ა მ ო ტ ა ნ ა

ერთ ფერმაში დაიბადა შვიდას ოცი ბატკანი, ცუდი მოვლით დაიხოცა ას თერთმეტი მათგანი.

ხუთი ხრამში ჩაიჩეხა, შთანთქა წყაღმა ოხერმა, ხუთჯერ ხუთი შეიწირა სხვადასხვათა მოღხენამ.

ოცდაშვიდი უგზო-უკვლოდ დაიკარგა მინდვრებში, ფერმის გამგემ ექვსი დაჰკლა, მგელმა—სამი იმდენი.

ფერმას ცხრა დღე ამონმებდა ორი ქრთამის მოყვარე, ცხრა ვახშამზე ცხრა დაუკდეს, თითო ცოცხლად მოჰკვარეს.

ჭერჭერობით სუღ რამდენი დარჩენილა ბატკანი? დაცხვარებას თუ მიაღწევს რომელიმე მათგანი?

შაპრო ლვალში

ჩვენთვის

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ლაპაზია თამაჯინი. ვილაცას აზრი გამოუთქვამს. ამ სოულის სიღამაზე, სხვა დანარჩენ სიაპოვნებასთან ერთად. კაცს ქამის მალასაც მატებდა. როგორც წესი, ამ ახალ აზრსაც გამოუჩინდნენ მიწინააღმდეგენი. წინააღმდეგობაში საბოლოოდ რომ გარკვეულიყვნენ, ცდა ჩაატარეს და თამაჯინის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ მიხილ ადაპია გაგზავნეს. ცდამ სასურველი შედეგი გამოიღო: მიხილმა თავისი ბუღალტრის ვარლამ ფარცვანიას დახმარებით დამატკიცა, რომ თამაჯინის სიღამაზე და ჰევა კაცს მართლაც მატებს ქამის მალას.

რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ბიჭო? — კითხვა ერთ დღეს მიხილმა ვარლამს.
— რა გტირის რა. შენ კი ხარ თავმჯდომარე! მე ვიკითხო, ბუღალტრობიდან რომ მოხსენიო!

— აა. ესაა მიზეზი? აბა რა გიყო. შენს მოხსნას. მარჯვენა რომ მოეჭრათ ჩემთვის, ის მერჩია, მარა ხომ იცი, დაქვრას მოხსნით გადაგარჩინეთ. ესეც საქმეა!..

ერთხანს ორივე ფიტრმა წაიღო. ვარლამმა მხსიერებაში ადავინა. მიხილზე უფრო თაქმლომარის დახმარებით რამდენი უკუღმართი საქმე დაუტრიალებია თამაჯინში. ოდნავ დაეკვიდა. ამგვარი საქმეებისათვის რამდენიმე წლით თაქისუფლად სიარულზე ხელს ხომ არ ამაღებინებენო. მაგრამ, ისტობარგაუტეხავმა, მაინც ხმაილა იყვირა:
— ნე პოიზანი ნე ვორ!

ფიტრში წასული მიხილი ამ ძახილზე კარგა მალა შეხტა. როცა გაერკვა ანდაზის აზრში, ისეთი ხარხარი აუტყდა. ვარლამს შეუშინდა, არ გადაბვირდესო.

— ბიჭო, შე უჯიშო, რაც მე და შენ გეკუქორის რაიკომის ბიუროზე ბრალად დაგვდეს, ან რაც პროკურატურამ გამოიკვლია, იმას რაღა «ნე პოიზანი» ჰქვია?! ეს რომ ვინემ სააშკარაოზე გამოიტანოს, ციხეს ციხედ მივიღებთ და ქონების კონფისკაცია...

გაოგნებულმა ვარლამმა წამწამები აახამხამა.

— მოიწი აქეთ! უბრძანა მიხილმა და სიცილი სადღაც გაუქრა, იცი შენ რა არის ქონება? ქონება... ეს ის არის, როცა ქონიც გაქვს და ნებაც — ეს ქონი როგორც გინდა ისე გამოიყენო. ბუღალტრობიდან რომ არ მოხსენიო, ნება წავგერთმოოდა, ჩემო ბაბა, და ქონი მაშინ სხვას დარჩებოდა.

ვარლამი ისევ გაოგნებული იჯდა. მიხილმა უჯრიდან პროკურორის დადგენილება ამოიღო.

— უკურე რა წერია შიგ! «ვპოვე: მათ მიერ (ჩვენზე ამბობს) ადგილი ქონდა კოლმეურნეობაში საფინანსო დისციპლინის დარღვევებს, სამეურნეო საქმიანობაში უყიარათო ხელმძღვანელობის ფაქტებს». ბუხ. ფარცვანიამ ჩაიჯობა 2.000 მან. ყავრის ფულიო.

— ასე წერია, ჩაიჯობაო?

— არა, ეს ჩემი კომენტარებია. ყური მიგდე. «ბუხ. ფარცვანიამ ზედმეტად გაანაწილა კოლმეურნეობაზე 16.026 მან. მოქალაქე ჯოჯუას ზედმეტად მისცა მიგლინების თანხა 625 მანეთი, კოლმეურნეობის ძროხა ღირებული 5.000 მანეთად. გაყიდეს 1362 მანეთად». დანარჩენი რომ ჯიბეში ჩაიღებო, იმას აღარ ახსენებს. «ვაზის მყნობაზე დაქირავებულ მუშებს გასცეს 6675 მანეთი...» და არ უნდა გაეცათო. «ადგილი ქონდა კოლმეურნეობის კუთვნილი ავუროსა და ცემენტის გასესხებას კოლმეურნეობაში». რას ერჩი: რბილად წერს კაცი—გასესხაო. გავაგრძელო?

— თავი დამანებე, შენი ჭირინ!

— მომიტინე! ათანავს გალდავას ბანკიდან 100.000 მანეთის გამოტანაზე რომ «მიხმარეთ» და 5.000 მანეთი ასწაბნეთ, იმასაც ახსენებს?

— მაგას დამტკიცება უნდა! — გაცხარდა ვარლამი.

— ბევრი არაფერი. შენ თუ კაი კაცი იყავი, მოანგარიშე ბერულავა რატომ გაიყოლიეთ ბანკში? ბერულავა ხომ სამი თვის მოხსნილი იყო! თუმცა, ეგ არაფერი, საქმე ისაა, რაც ბოლოში წერია: ამ დარღვევებში ორივე დამნაშავეაო—ამბობს. მაგრამო, მივიღე რა მხედველობაში, რომ ადამია და ფარცვანია პასუხისმგებელი პირები არიანო, რომ შემო აღნიშნული დარღვევები გამოწვეულია მათი დაუღვერობით და არა ანგარებითი საქციელით...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა ვარლამმა. — დაუღვერობის მუხლი თუ არის სისხლის სამართლის კოდექსში?

— არისო?! თუ გინდა ზეპირად გეტყვო.

— შე ოჯახაშენებულო, რომელი აკაკის ლექსი მაგ იყო, ზეპირად რომ გისწავლია?

— აზრის ძაფს ნუ მაწყვეტინებ! — შეუტია მიხილმა და აბაშის რაიონის პროკურატურის სახ. გამომძიებლის მ. ანაკიძის დადგენილება ბოლომდე ჩაიკითხა, — ამიტომო «...მათი სისხლის სამართლის წესით პეგაში მიცემა არ მიმართავს მიზანშეწონილად».

— შეჩვენებული ვიყო, თუ ამისთანა სადღერტელო რომელიმე თამადას ეთქვას ჩემთვის! — ტაში შემოჰკრა ფარცვანიამ, და უცებვე მოელუშა სახე, — მერე, რა გინდა, ბუღალტერი მაინც არა ვარ!

— კაცო, რა ძალიან მაყვედრი შენს თავს. მე შენზე ნაკლები გადახდა თუ წელიწადი ისე არ გავა, რაიკომის ბიუროზე ორჯერ არ შემახურონ. ჯერ იყო და, პარტიის წევრობიდან კანდიდატად ჩამომაყენეს, მერე საყვედური მომარტყეს, მერე მიეთოთსო, მერე...

— მერე, აღბათ, მადლობას გეტყვიან, ისე იკლებს თანდათან სასჯელი, — მოუტრა ფარცვანიამ.

ახლა კი ჩასწვდა მიხილი ვარლამის გულის ტკივილს. მიხვდა, რომ საცა ბუღალტერი მოხსნა, იქ თავმჯდომარე უნდა «გაეწირათ», თუ აქ საერთოდ მოხსნით შეიძლება დაკმაყოფილება. განა აბაშის საწყობიდან ორივეს ერთად არ გამოჰქონდათ ჩაისათვის მინერალური სასუქები, რაც პლანტაციებში არ შეჰქონდათ და კოლმეურნეებზე ჰყიდდნენ კიბო ფასებში?! განა ვარლამთან ერთად მიხილმაც არ მოითხოვდა, როცა კოლმეურნეებს 9416 მანეთი წაგლიჯეს, ვითომდა ელგავანილობაზე მომუშავე მუშების ხარჯებისათვის გვინდო? ეს ყველაფერი კარგად იცის მიხილმა, შეუძლია ბევრი სხვა ცოდვაც გაიხსენოს, მაგრამ საბოლოოდ რომ მოსტეხოს მეგობრის უცხოება, მხოლოდ ერთი შემთხვევა გაახსენა: ვარლამ ფარცვანიამ, ადრე, როცა იგი კოლმეურნეობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო, რკინის სალარო შეიძინა, სალაროს ორი გასაღებიდან ერთი თვითონ შეინახა მალულად, მეორე კი მოლარეს ჩააბარა. მას შემდეგ სამი მოლარე გამოიცვალა და ვერც ერთი ვერ მიხედრილიყო, რატომ აკლდებოდა სალაროში ფული, სანამ მოლარე გრიგოლ სიხარულიძემ შემთხვევით არ აღმოაჩინა ვარლამის უჯრაში დაქანებული გასაღები. მარტო გრ. სიხარულიძეს სალაროში 10.000 მანეთამდე დააკლდა. აქედან ვარლამის სინდისზე რამდენი მოდის, ეს, ალბათ, თვითონ ვარლამმა იცის. ეს ყველაზე მწკვევე საკითხია და მიხილმაც სწორედ აქ დააქირა მეგობარს ფეხი:

— სიხარულიძე ხომ არ გიჩივის?

— ვინ? ჩვენი მოლარე? ის ხომ მოხსენიო, კაცო! მე უფრო პროკურატურის შემინია.

— ნუ შიშობ, ეგ საქმე ჩაიფარება.

ვაი სულო, ერთხელ კიდევ ჩამავდებინა იმ სალაროს გასაღები, და მერე თუ გინდა, მომკლან!

— ნუ დარდობ, ჩემო ვარლამ! — დაამშვიდა მიხილმა. — ცხოვრებას უნდა მოუტებო გასაღები, თორემ ერთი ქეციანი სალაროს გასაღები რა სათქმელია! კიდევაც მოგვეწერებო, ჩვენს ხელში წრწუნებდეს. ფულს ბლომთ ვაკეთებთ. თითო სასახლე ორივემ წამოვიგვიშეთ. მე — ცხაკაიაში, შენ — თამაჯინში. კოლმეურნეობაში შრომის ნორმებს ჩემებურად ვაწყებ. ბიჭია და გამობედოს ვინემ რამე! შიშით ვინ ამოიღებს ხმას?

ტყუილად იქადით, პატივცემულო მიხილ! ხომ გაგვიგონიათ, კოცა წყალზე გატყუებო!

მ. ჯამბაყური
დ. მემზური

ნახ. ნ. მალაზონიასი



— დედიკო, რა არის კრიტიკა?
— კრიტიკა, შვილო... აი, შენ რომ მამას უთხრა —
ლოთი ხარო და მამამ გარეთ გამოგვადოს!..



ტროლეიბუსის რიგში

მოგებით საჩივრის ნიგნი!

როდესაც ხელისგული ავკავდება, ამბობენ, ფულს მი-
აღებო, როდესაც სახლის ერდოზე ჩიტი ავიკვირდება, ამბო-
ბენ, სასიხარულო ამბავს გაიგებო. არ ვიცი, ტყუილია ეს
თუ მართალი, მე კი როცა კუჭი წვას დამიწყებს, აუცილებლად
თბილისში მომიწევს ჩამოსვლა. ცუდად არ გამიგოთ, ღმერ-
ში დამიფაროს, თბილისური მწვადები და შოთი პური რო-
დი ასხენდება ჩემ სწელს კუჭს. საქართველო ხომ ბორჯომის
ამკურნალო წყლის სამშობლიოა, და როცა კუჭის შეტევები
განსაკუთრებით მაწუხებს ხოლმე, ხშირად დამისიხმრება თბი-
ლისი, რომლის ქუჩებს ბორჯომის წყლით რწყავენ მეფხოვენი,
ადაც ბავშვები ბორჯომის წყლით წუწობენ და სადაც სპე-
ციალურ ქოლგებს აკეთებენ, ბორჯომის წყლისაგან თავდასა-
ვარავენ.

ჰოდა, აი წელსაც წინასწარ მაცნობა კუჭმა, თბილისში
ჰოგიწევს განგზავნებაო. მართლაც ასე მოხდა. მივლინებით
ვამომავხვენეს. მოვეწყვე თუ არა სასტუმროში, გარეთ გამო-
ველ და ქუჩებს გავყვი. აგერ, ლადიძის წყლების მალაზიაში
მშენიერი, ტბილი და სასიამოვნო სირობი იყიდება, იქ ყვი-
თელი ცისტერნები გამოუგორებიათ ქუჩებში და გემრიელსა
და ცივ ბურახს სთავაზობენ გამლეულ-გამომვლეს, უფრო
იქით ლიმონათებით ვაჭრობენ, მერე და მერე, სამტრედიის
განთქმული ღვინოებისა და შამპანურის მალაზიები შემხვდა,
მაგრამ ღვინის დაღვევა ხომ აკრძალული მაქვს ექიმებისაგან!
ისევ ჩემი „მკურნალი“ ბორჯომის წყლით უნდა დავკმაყო-
ფილდე-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ... მაგრამ სად უიდიან ბორ-
ჯომის წყალს? გადავდიოდი ქუჩიდან ქუჩაზე და კუჭთან ერ-
თად ახლა გულიც მეწვოდა. სად არის ჩემი საყვარელი ბორ-
ჯომი?

— მეგობარო, სად იყიდება ბორჯომის წყალი? — მიე-
პარეთ ერთ-ერთ გამვლელს.
დაფიქრდა და მიპასუხა:
— აბა, იქ შეიარეთ, ნეკრასოვის ქუჩაზე, ეგებ იყოს, თუ
არა და რუსთაველის პროსპექტზე აუცილებლად იშოვნით.
— სხვაგან?
— სხვაგან? ვასტრონომებში მოდის ხოლმე ხანდახან.
— ბოდიში, ეს ქალაქი ხომ თბილისია?
— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!
ეჰ, ნეტავ მართლაც სხვა ქალაქი აღმოჩენილიყო და
ასე არ წავებდნოდა შთაბეჭდილება მე და ჩემს კუჭს. ახლა
დავრწმუნდი — როდესაც ბორჯომის წყლით მორწყული თბი-
ლისი დამისიხმრება, ვიცი, რომ სიხშირე პირიქით ამიხდება
და წვეთ ბორჯომის წყალს ვერ ვიშოვნი. მომეცით საჩივრის
წიგნი!

3. ნარზანი

რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი,
ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი «ნიანგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49

გამომც. № 18, ხელმოწ. დასაბ. 29/IX-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფურადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.
შვებ. № 1106. შუ 05344. ტირ. 25.000.


„ნიანგის“ კალენდარი

(ხექტემბერი, 1956 წ.)

თარიღები	წარსული, აწმყო და მომავალი მოვლენები	კალენდრის დამატება
16 ხექტემბერი კ ვ ი რ ა	ამ დღეს გაზეთის რედაქტორები ნახავენ ტკბილ სიზმარს, ვითომ დაარსდა სპეციალური გაზეთი განკორწინების განცხადებების მოსათავსებლად.	ვასხათობი მათემატიკა (თავისუფალ საათებში) ქრისტეს დაბადებიდან დღემდე 102.046 კვირა დღე მოდის. კაცობრიობის მიერ ამ უქმად გატარებული დღეების ჯამი დაახლოებით 280 წელიწადს შეადგენს. უფრო თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ ეს გიგანტური რიცხვი, საკმარისია იგი შევადაროთ რუსთაველის პროსპექტზე უქმად მდგარი ახალგაზრდების მიერ გაცდენილ დროს ერთი დღის განმავლობაში.
18 ხექტემბერი ხ ა მ შ ა ბ ა თ ი	ამ დღეს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ერთ-ერთი ასპირანტი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სიტყვა „მოკვარახუნების“ ულინგუბისათვის უბადრუკი დისერტაციების დაცვის დროს“.	წარსულის ფურცლები (თბილისის ისტორიიდან) ... 1928 წლის 18 სექტემბერს თბილისში მოდიოდა ადგილობრივი ხასიათის წვიმი, სილამოს, ზუსტად 7 საათზე წვიმა შეწყდა.“ (ამინდის ბიუროს არქივიდან)
20 ხექტემბერი ხ თ უ შ ა ბ ა თ ი	ამ დღეს კოლმეურნეთა ფერმის გამგეები რევიზორთა ვერაგულ თავდასხმას მოიგერიებენ ჯიბის რქებით, რომელთა ქახუნი და ლაწალუწი გვიან ლამედველ არ შეწყდება. ფერმის გამგეები გმირულად დაეცემიან ბრძოლის ველზე, მაგრამ გამარჯვება მაინც მათ დარჩებათ.	მთვარე ვახშობს მუხებში...
27 ხექტემბერი ხ თ უ შ ა ბ ა თ ი	ამ დღეს დედამიწის საგრძნობლად დააკლდა მიზიდულობის ძალა. თბილისში მცხოვრებნი შეამჩნევენ საგნების შემსუბუქებას, მაგ. № 3 ტროლეიბუსზე მგზავრებს შემსუბუქდებთა ჯიბეები, და სხვ.	როგორ ვინმართ დანა-ჩანგალი (დედათა და ბავშვთა კონსულტაცია) როდესაც შვილს სადღეს აპყვით, აუხსენით, რომ დანა მარჯვენა ხელში უნდა დაიჭიროს, ჩანგალი კი — მარცხენაში. ეს არის ბავშვის სულიერი აღზრდის უმთავრესი პირობა, სხვა რჩევა-დარიგებები ნუ დატვირთავთ. სამაგიეროდ, როდესაც თქვენი შვილი გაიზრდება და სირცხვილს გაქმევთ, დანა-ჩანგლის ხმარება აუცილებელი არ არის.
29 ხექტემბერი შ ა ბ ა თ ი	თბილისის სპეკულანტების ამღვინებელი მოგება (მანეთებში) რომ გაამწკრივოთ ერთ ხაზზე, იგი დაჰფარავს მანძილს ნილიციიდან სასამართლომდე.	არის თუ არა სიცოცხლე მარსზე? (ნორჩ ასტრონომთა დასაზმარებლად) მარსზე დიდი ზამთარი იცის. ამიტომ იქ სწავლაც გვიან იწყება. მაგრამ მოსწავლეები, როგორც ყველგან, იქაც გულს უწყალებენ თავიანთ მასწავლებლებს, და სადაც წყალია, იქ სიცოცხლეც ისახება.

304
9/1

ვარსკვლავთმრიცხველი ხვალისკო მუვილოვაძე



უტექსტო ხუმრობა დონისა.



ინდონეზიის მთავრობას
 დაგვიბრწყნეთ ჩვენი ვადი,
 1 მილიონი დოლარი, რომ-
 ძაღის ინდონეზიელი
 ხაფხის დასაპყრობად
 წარმოებულ კომონიურ
 თავი დაგვადეთ.

კომუნისტური
 კომუნისტურები



მგლის ლოგიკა

— შენ ჩემი ვალი გმართებს, ბიძია!
 — რა ვალს მოითხოვ, რა მოგიცია?
 — ხომ ვახსოვს მე რომ დაგეხსი თავსა
 და შექმა მსურდა კრავისა მსგავსად?

შენ კი მე თავი არ შემაჭამე.
 ცხვირიც მინაყე... მაშასადამე,
 რადგან წამიხდა შრომა და გარჯა,
 ხომ უნდა მომცე რაც დამეხარჯა?!